



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



LORLATINIB - LORVIQUA®

რა არის LORVIQUA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ლორლატინიბი	25 მგ ტაბლეტი: ღია ვარდისფერი, მრგვალი 100 მგ ტაბლეტი: მუქი ვარდისფერი, ოვალური

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს. კვების განმავლობაში ან კვების გარეთ.

თუ დაგავიწყდათ მიღება, მიიღეთ 4 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა.

სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ	  									
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7		 დ28	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო მოითხოვს. ყურადღებით იყავით და დააგეგმეთ რეცეპტის განაახლებინეთ რეცეპტი წინასწარ.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ქოლესტერინს, სისხლში შაქრის დონეს, ელექტროლიტებს, მათ შორის კალიუმს, ღვიძლის, პანკრეასის და თირკმლის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა, გულისცემა, არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი, ჩასახვის სანინაალმდეგო აბები და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

LORVIQUA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: ნუ მოიხმართ შემდეგ ნივთიერებებს: ბოლდო, ფუკუსი, აზიური ჟენშენი, სევილიური ფორთოხალი, პასიფლორა, ბაბუანვერა LORVIQUA®-სთან ერთად.



რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: ლიპიდური პროფილის ანომალიები (ჰიპერქოლესტერინემია, ჰიპერტრიგლიცერიდემია), სისხლში შაქრის დონის მომატება (ჰიპერგლიკემია), ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), ნევროლოგიური დარღვევები: მგრძნობელობის დარღვევები (დაბუჟება, ჩხვლეტა, წინკნა), წვის ან განმუხტვის შეგრძნებები, ტკივილი სიცივის, სიცხის ან ტემპერატურის ცვლილებისგან, კოგნიტური ეფექტები (ყურადღების და მეხსიერების პრობლემები, დებორიენტაცია, დაბნეულობა), განწყობის დარღვევები. საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, კუჭის შეკრულობა ზოგადი: დაღლილობა, ფეხების და/ან ხელების შებერილობა (შეშუპება) ტკივილი: თავის ტკივილი, სახსრები, კუნთები სხვა: მხედველობის დარღვევები, გამონაყარი, ჰიპერტენზია
პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ყურადღებას	ქოლესტერინის მქონე პაციენტები დიაბეტიანი პაციენტები გულის დისფუნქციის მქონე პაციენტები ლაქტოზის აუტანლობის მქონე პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გაფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ნევროლოგიური დარღვევები > მოტორული და კოორდინაციის დარღვევები, > უჩვეულო შეგრძნებები, როგორიცაა ჩხვლეტა და წინკნა, > მეხსიერების დაკარგვა, კონცენტრაციის გაძნელება, მეტყველების გაძნელება, > თავბრუსხვევა > განწყობის დარღვევები: შფოთვა, გაღიზიანება, ეიფორია, დეპრესია, განწყობის ცვალებადობა, აგრესია საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. > კვირაში 3-ზე ნაკლები განავალი კანის დაავადების გაუარესება > ტკივილი ან ანთება ხელებსა და ფეხებში ფილტვების არეში დარღვევები > დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > სახსრებისა და კუნთების ტკივილი გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები > გონების დაკარგვა, გულის ფრიალი ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნის და/ან თავბრუსხვევა > დასაშვები ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების ამ შემუშავების დროს
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული,



	სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
კანის მოვლა	ხელეზა და ფეხეზუ: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ ხახუნის ან წყლულების გამომწვევ აქტივობებს და მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმლის, წინდებისა და ფეხსაცმლის ტარებას. სტეულო: უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად, გამოიყენეთ მზის დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	გამოიყენეთ რბილი კბილის ჯაგრისი და გამოიყენეთ პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. მოერიდეთ მენტოლის ან სპირტის შემცველი პირის ღრუს სავლებების გამოყენებას
სახსრების ტკივილი	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
თვალეზი	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. მოერიდეთ მანქანის მართვას დაბალი განათების პირობებში
შეშუპებები	ნუ ატარებთ ძალიან მოჭრილ ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე. რეგულარულად გაიკონტროლეთ წონა
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის გაზომვა რეკომენდირებულია რეგულარულად. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წონის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.
პანკრეასის ფუნქციის დარღვევები	მოერიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას